

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის  
ბრძანება N 88/ნ

2010 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო  
დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების  
აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ც<sup>1</sup>” ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს “საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში I-IV კლასების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა” ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ”საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში V-XII კლასების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა” ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 10 აგვისტოს №593 ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ”.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*დ. შაშკინი*

დანართი N1

(ცხრილი №1)

მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი  
I-IV კლასებისთვის

---

სკოლის სრული სახელწოდება

---

კლასის დამრიგებელის სახელი, გვარი

---

კლასი



გაცდენების ჯამური რაოდენობა		

**მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა**

<b>ჩარიცხვა</b>		<b>ამორიცხვა</b>	
<b>თარიღი</b>	<b>ბრძანების №</b>	<b>თარიღი</b>	<b>ბრძანების №</b>

(ცხრილი №3)

**გაკვეთილების ცხრილი**

<b>სემესტრი</b>	<b>№ გაკვეთილი</b>	<b>ორშაბათი</b>	<b>სამშაბათი</b>	<b>ოთხშაბათი</b>	<b>ხუთშაბათი</b>	<b>პარასკევი</b>	<b>შაბათი</b>
<b>I</b>	1						
	2						
	3						
	4						
	5						
	6						
	7						
<b>II</b>	1						
	2						
	3						
	4						



მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა

თარიღი																			გაცდენები

თარიღი																				I სემესტრი გაცდენები
№																				
თარიღი																				II სემესტრი გაცდენები

№																										

(ცხრილი №6)

შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ

თვე და რიცხვი	შენიშვნის შინაარსი	მასწავლებლის ხელმოწერა	დამრიგებლის ხელმოწერა	დირექტორის ხელმოწერა

ჟურნალის წარმოების წესი

1. ზოგადი ინფორმაცია საკლასო ჟურნალის (შემდგომში – ჟურნალი) შესახებ.

1.1. ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ინახება სკოლის დირექციაში, მესამე პირთაგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში;

1.2. ჟურნალის წარმოებაზე (მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების ყოველდღიურ აღიცხვაზე და გაცდენების რაოდენობის დაჯამებაზე) პასუხისმგებელია მასწავლებელი, ხოლო მასწავლებლის მიერ მოსწავლის, საგანთა და სახემლძღვანელოთა, მასწავლებელთა და მათი კვირეულის დატვირთვის შესახებ ინფორმაციის შეტანასა და გაკვეთილების ცხრილის შევსებაზე - კლასის დამრიგებელი. სკოლის დირექტორი ვალდებულია განსაზღვროს უფლებამოსილი პირი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კლასის დამრიგებელის მიერ ინფორმაციის შეტანას და მასწავლებლის მიერ ჟურნალის წარმოებას. ასეთი უფლებამოსილი პირი

შესაძლოა იყოს სკოლის დირექტორის მოადგილე;

1.3. ჟურნალის არასწორი წარმოება, მისი დაკარგვა/დაზიანება, ფურცლის ამოხვევა და ა. შ. წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველს;

1.4. დაუშვებელია ჟურნალის გატანა სკოლის ტერიტორიიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## **2. ჟურნალის წარმოება:**

2.1. ჟურნალის წარმოება ხორციელდება კონკრეტული კლასისთვის „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიხედვით. (6.12.2011 N 197/6 )

2.2. გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა ხდება გაკვეთილის დაწყებისთანავე და გაკვეთილზე მოსწავლის არყოფნის შემთხვევაში ჟურნალში ფიქსირდება "არა".

2.3. ჟურნალში შეცდომის დაშვების შემთხვევაში, შეცდომით შეტანილი ინფორმაცია უნდა გადაიხაზოს, ხოლო დაშვებული შეცდომის გასწორება უნდა მოხდეს ჟურნალის ბოლოს სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას (შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ”(ცხრილი №6), სადაც შეცდომის დამშვები პირი, თარიღის მითითებით, მოკლედ აღწინასწარ შეცდომის შინაარსს, შეაქვს სწორი მონაცემი, რასაც ადასტურებს ხელმოწერით; აღნიშნულს ხელმოწერით ადასტურებს, აგრეთვე კლასის დამრიგებელი და სკოლის დირექტორი;

2.4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მოძრაობის (ჩარიცხვა/ამორიცხვა) შედეგად ჟურნალში მითითებულ მოსწავლეთა რაოდენობა გადააჭარბებს 40 მოსწავლეს, სკოლა ვალდებულია კლასში პარალელურად აწარმოოს მეორე ჟურნალი. (6.12.2011 N 197/6)

## **3. მონაცემები, რომელსაც შეიცავს ჟურნალი**

3.1 ჟურნალის გარეკანზე მიეთითება, სკოლის სრული დასახელება, კლასის დამრიგებლის სახელი და გვარი, კლასი, რომლისთვისაც განკუთვნილია ჟურნალი (ცხრილი №1);

3.2. ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს განთავსდება კლასის მოსწავლეთა სრულის სია (მოსწავლეთა გვარები და სახელები, სია შედგენილი უნდა იყოს ანბანის მიხედვით; კლასში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გადმოსული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეტანა ხდება სიის ბოლოს). ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს ხდება მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანების ნომერი, მისი სკოლიდან ამორიცხვის შემთხვევაში - ამორიცხვის თარიღი და ბრძანების ნომერი) ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს მიეთითება, აგრეთვე, მოსწავლეთა პირადი საქმის ნომერი (ცხრილი №2);

3.3 ჟურნალის თავფურცელზე (პირველ გვერდზე) მარცხენა ზედა მხარეზე მოთავსებული უნდა იყოს სკოლის დირექტორის ხელმოწერა და სკოლის ბეჭედი;

3.4 ჟურნალის თავფურცელი ივსება ისევე, როგორც ჟურნალის გარეკანი (სკოლის სრული დასახელება, კლასის დამრიგებლის სახელი და გვარი, კლასი, რომლისთვისაც განკუთვნილია ჟურნალი);

3.5 კლასის დამრიგებელი ვალდებულია შეავსოს ჟურნალში მოცემული გაკვეთილების ცხრილი I და II სემესტრებისათვის (ცხრილი №3);

3.6 კლასის დამრიგებელი საგნის მასწავლებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ვალდებულია, ცხრილში (ცხრილი №4) „საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი შეიტანოს შემდეგი მონაცემები:

3.6.1 იმ საგნების ჩამონათვალი, რომელთა სწავლება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით მოცემული სასწავლო წლისათვის;

3.6.2 ჟურნალის ის გვერდი, რომლითაც იწყება კონკრეტული საგანი;

3.6.3 კათედრის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოს დასახელება, მისი ავტორის/ავტორების გვარები და გამომცემლობის სახელწოდება;

3.6.4 იმ მასწავლებლის (განაყოფის შემთხვევაში - მასწავლებლების) სახელი და გვარი, რომელიც ასწავლის/ასწავლიან საგანს;

3.6.5 სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საათების რაოდენობა;

3.7 ჟურნალში კონკრეტულ საგანში (ცხრილი №5) მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაციის ამსახველ გვერდებზე უნდა იქნას შეტანილი შემდეგი მონაცემები:

3.7.1 საგნის დასახელება;

3.7.2 მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი;

3.7.3 გაკვეთილის ჩატარების თარიღი;

3.7.4 ინფორმაცია მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შესახებ;

3.7.5 დღის განმავლობაში დაწერილი „არების“ რაოდენობა გვერდის ბოლოს მოცემულ უჯრაში „გაცდენების ჯამური რაოდენობა“ (ცხრილი №2);

3.7.6 თითოეული მოსწავლისათვის ჟურნალის ერთ განშლაზე (ორ გვერდზე) დაწერილი არების რაოდენობა მარჯვენა გვერდის ბოლოში მოცემულ სვეტში „გაცდენები“;

3.8 სვეტში „I სემესტრის გაცდენები ” და „II სემესტრის გაცდენები“ იწერება შესაბამისი სემესტრის განმავლობაში დაგროვილი გაცდენების რაოდენობა;

3.9 ჟურნალში საგნები დაყოფილია ორ ჯგუფად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საათების რაოდენობის მიხედვით და აღნიშნულია რომაული რიცხვებით. I ჯგუფში შედის საგანი, რომელსაც კვირაში ეთმობა 6 სთ და მეტი (I საგანი) II - ში საგნები, რომლებსაც ეთმობათ კვირაში 5 საათზე ნაკლები (8 საგანი).





გაცდენების ჯამური რაოდენობა		
წიშნების რაოდენობა		

მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა

ჩარიცხვა	ამორიცხვა

თარიღი	ბრძანების №	თარიღი	ბრძანების №

(ცხრილი №3)

გაკვეთილების ცხრილი

სემესტრი	გაკვეთილი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი
I	1						
	2						
	3						
	4						
	5						
	6						
	7						



--	--	--	--	--	--

(ცხრილი №5)

მოსწავლეთა დასწრების აღივსება

საგანი ----- მასწავლებელი/მასწავლებლები -----

თარიღი										ნიშნების რაოდენობა	ჯამური ქულა	გაცდენების რაოდენობა
	საშინაო	საკლასო	შემაჯამებელი	საშინაო	საკლასო	შემაჯამებელი	საშინაო	საკლასო	შემაჯამებელი			
№												

(ცხრილი №6)



სა შინა ვ	ს ა კ ვ	შ ე მ ა ჯ ა მ ა შ ა ა ი ვ	სა შინა ვ	ს ა კ ვ	შ ე მ ა ჯ ა მ ა შ ა ა ი ვ	ს ა შ ინა ვ	ს ა კ ვ	შ ე მ ა ჯ ა მ ა შ ა ა ი ვ				ნ ი შ ა ნ ი	გაც დენ ები  რაო დენ ობა	ნ ი შ ა ნ ი	ბ ა ც რ ე ა ნ ა ბ ი ნ ა ვ რ ე ა ნ ა ბ ა

(ცხრილი №8)

**შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ**

თვე და რიცხვი	შენიშვნის შინაარსი	მასწავლებლის ხელმოწერა	დამრიგებლის ხელმოწერა	დირექტორის ხელმოწერა

(ცხრილი №9)

შეფასება









1.3. ჟურნალის არასწორი წარმოება, მისი დაკარგვა/დაზიანება, ფურცლის ამოხევა და ა. შ. წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველს;

1.4. დაუშვებელია ჟურნალის გატანა სკოლის ტერიტორიიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

1.5. კლასის დამრიგებელი ვალდებულია ყოველთვიურად შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლის გაცდენების შესახებ (მათ შორის, შემაჯამებელი დავალების გაცდენს შესახებ) და უზრუნველყოს აღნიშნულის გამო მოსალოდნელი შედეგების თაობაზე მოსწავლის მშობლის დროული ინფორმირება.

## **2. ჟურნალის წარმოება:**

2.1. მასწავლებელი მოსწავლთა გავეთილზე დასწრების აღრიცხვასთან ერთად აწარმოებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების განმსაზღვრელ შეფასებას სამი კომპონენტის მიხედვით. ამასთან, არ არის სავალდებულო მასწავლებელმა მოსწავლე შეაფასოს ყოველდღიურად ყველა კომპონენტის მიხედვით;

2.2. ჟურნალის წარმოება ხორციელდება კონკრეტული კლასისთვის „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიხედვით. (6.12.2011 N 197/6 )

2.3. გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა ხდება გაკვეთილის დაწყებისთანავე და გაკვეთილზე მოსწავლის არყოფნის შემთხვევაში ჟურნალში ფიქსირდება "არა".

2.4. ჟურნალში შეცდომის დაშვების შემთხვევაში, შეცდომით შეტანილი ინფორმაცია უნდა გადაიხაზოს, ხოლო დაშვებული შეცდომის გასწორება უნდა მოხდეს ჟურნალის ბოლოს სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას (შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ”(ცხრილი №8)), სადაც შეცდომის დამშვები პირი, გრაფაში „თვე და რიცხვი“ თარიღის მითითებით, გრაფაში „შენიშვნის შინაარსი“ მოკლედ აღნიშნავს შეცდომის შინაარსს, შეაქვს სწორი მონაცემი, რასაც ადასტურებს ხელმოწერით; აღნიშნულს ხელმოწერით ადასტურებს, აგრეთვე კლასის დამრიგებელი და სკოლის დირექტორი;

2.5. საკლასო განყოფისა და არჩევითი საგნების (თუ კლასის ნაწილი გასხვავებულ არჩევით საგანს სწავლობს) მასწავლებლები ვალდებული არიან, ინდივიდუალურად აწარმოონ გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და შეფასებები და მონაცემები დღის ბოლოს გადაიტანონ ჟურნალში.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მოძრაობის (ჩარიცხვა/ამორიცხვა) შედეგად ჟურნალში მითითებულ მოსწავლეთა რაოდენობა გადააჭარბებს 40 მოსწავლეს, სკოლა ვალდებულია კლასში პარალელურად აწარმოოს მეორე ჟურნალი.

(6.12.2011 N 197/6)

### 3. მონაცემები, რომელსაც შეიცავს ჟურნალი

3.1 ჟურნალის გარეკანზე მიეთითება, სკოლის სრული დასახელება, კლასის დამრიგებლის სახელი და გვარი, კლასი, რომლისთვისაც განკუთვნილია ჟურნალი(ცხრილი №1);

3.2. ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს განთავსდება კლასის მოსწავლეთა სრული სია (მოსწავლეთა გვარები და სახელები, სია შედგენილი უნდა იყოს ანბანის მიხედვით; კლასში სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გადმოსული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეტანა ხდება სიის ბოლოს), ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს ხდება მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანების ნომერი, მისი სკოლიდან ამორიცხვის შემთხვევაში - ამორიცხვის თარიღი და ბრძანების ნომერი), ჟურნალის გარეკანის შიდა მხარეს მიეთითება მოსწავლის პირადი საქმის ნომერი(ცხრილი №2);

3.3 ჟურნალის თავფურცელზე (პირველ გვერდზე) მარცხენა ზედა მხარეზე მოთავსებული უნდა იყოს სკოლის დირექტორის ხელმოწერა და სკოლის ბეჭედი;

3.4. ჟურნალის თავფურცელი ივსება ისევე, როგორც ჟურნალის გარეკანი (სკოლის სრული დასახელება, კლასის დამრიგებლის სახელი და გვარი, კლასი, რომლისთვისაც განკუთვნილია ჟურნალი);

3.5. კლასის დამრიგებელი ვალდებულია შეავსოს ჟურნალში მოცემული გაკვეთილების ცხრილი I და II სემეტრებისათვის (ცხრილი №3);

3.6 კლასის დამრიგებელი საგნის მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ვალდებულია, ცხრილში: „საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი” (ცხრილი №4) შეიტანოს შემდეგი მონაცემები:

3.6.1 იმ საგნების ჩამონათვალი, რომელთა სწავლება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით მოცემული სასწავლო წლისათვის;

3.6.2 ჟურნალის ის გვერდი, რომლითაც იწყება კონკრეტული საგანი;

3.6.3. კათედრის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოს დასახელება, მისი ავტორის/ავტორების გვარები და გამომცემლობის სახელწოდება;

3.6.4. იმ მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი, რომელიც ასწავლის/ასწავლიან საგანს;

3.6.5. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საათების რაოდენობა;

3.7. ჟურნალში კონკრეტულ საგანში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაციის ამსახველ გვერდებზე (ცხრილი №5) უნდა იქნას შეტანილი შემდეგი მონაცემები:

3.7.1. საგნის დასახელება;

3.7.2. მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი და გვარი;

3.7.3. გაკვეთილის ჩატარების თარიღი;

3.7.4. ინფორმაცია მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შესახებ (საკლასო დავალების უჯრაში („საკლასო” იწერება „არა”);

3.7.5 დღის განმავლობაში დაწერილი „არების” რაოდენობა გვერდის ბოლოს მოცემულ უჯრაში „გაცდენების ჯამური რაოდენობა”;

3.7.6. ყოველი სასწავლო დღის განმავლობაში კომპონენტების მიხედვით დაწერილი ნიშნების რაოდენობა გვერდის ბოლოს მოცემულ უჯრაში „ნიშნების რაოდენობა“, ხოლო ყოველი სასწავლო დღის განმავლობაში ნიშნის არდაწერის შემთხვევაში უჯრაში უნდა მიეთითოს „X“; (ცხრილი №2). (6.12.2011 N 197/5)

3.7.7. თითოეული მოსწავლისათვის ჟურნალის ერთ განშლაზე (ორ გვერდზე) დაწერილი ნიშნების ჯამი მარჯვენა გვერდის ბოლოში მოცემულ სვეტში „ჯამური ქულა“;

3.7.8 თითოეული მოსწავლისათვის ჟურნალის ერთ განშლაზე (ორ გვერდზე) დაწერილი „არების“ რაოდენობა მარჯვენა გვერდის ბოლოში მოცემულ სვეტში „გაცდენების რაოდენობა“;

3.7.9 თუ მოსწავლეს შემაჯამებელი დავალების შესრულების დღეს ჰქონდა გაცდენა და „შემაჯამებელი“ დავალების უჯრაში უწერია „არა,“ მის მიერ აღდგენილი შემაჯამებელი დავალების ნიშანი იწერება შემაჯამებელი დავალების უჯრაში იმ რიცხვით, როცა ეს დავალება შეასრულა;

3.8. I და II სემესტრების სვეტში, უჯრაში „ნიშანი“ იწერება საგნის სემესტრული ნიშანი, რომელიც გამოითვლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული წესის მიხედვით (ცხრილები №6 და №7);

3.9. I და II სემესტრების სვეტში, უჯრაში „გაცდენების რაოდენობა“ იწერება სემესტრის განმავლობაში დაგროვილი გაცდენების რაოდენობა (ცხრილები №6 და №7);

3.10. II სემესტრის სვეტის შემდეგ (ცხრილი №7), სვეტში „წლიური“, უჯრაში „ნიშანი“ იწერება საგნის წლიური ნიშანი, რომელიც გამოითვლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული წესის მიხედვით;

3.12. სვეტში „წლიური“ უჯრაში „გაცდენების რაოდენობა“ - იწერება წლის განმავლობაში დაგროვილი გაცდენების რაოდენობა;

3.13. ჟურნალში საგნები დაყოფილია სამ ჯგუფად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საათების რაოდენობის მიხედვით და აღნიშნულია რომაული რიცხვებით. I ჯგუფში შედის საგანები, რომლებსაც კვირაში ეთმობა 5 სთ და მეტი (სამი საგანი) II-ში - საგნები, რომლებსაც ეთმობა კვირაში 3-5 საათი (ხუთი საგანი), III ჯგუფში შედის საგანი, რომლებსაც ეთმობა კვირაში 1-3 სთ (ექვსი საგანი);

3.14. ჟურნალი (ბოლო გვერდები) უნდა შეიცავდეს მოსწავლის შეფასების გრაფას თითოეული საგნის/საგნების მიხედვით თითოეულ სემესტრში; ასევე თითოეული საგნის სემესტრული და წლიური გამოცდის შეფასების გრაფებს.